

05 | გარემოსდაცვითი სამართლის აღსრულება


ძირითადი
ინსტიტუციური როლები
გარემოს დაცვის
სფეროში



წინამდებარე ცხრილი მოიცავს ინფორმაციას გარემოს დაცვის სფეროში არსებული ინსტიტუციური მოწყობის შესახებ. კერძოდ, ცხრილში მითითებულია საჯარო უწყებები და მათი ძირითადი უფლებამოსილებები.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	განსაზღვრავს პოლიტიკას კლიმატის ცვლილების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში.
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	განსაზღვრავს პოლიტიკას ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების მიმართულებით, შესაბამისად, მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოსდაცვით სფეროსთან.
ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	ახორციელებს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გასცემს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვებს და აკონტროლებს სანებართვო პირობების შესრულებას.
ინფრასტრუქტურის სამინისტრო	ახორციელებს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს.
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	წყვეტს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების - ეკომიგრანტების - განსახლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	ეკომიგრანტებს უზრუნველყოფს საცხოვრებელი სახლით.
გარემოს ეროვნული სააგენტო	უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური პროცესების და გარემოს (ატმოსფერული ჰაერი, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, ზღვა, ნიადაგი) ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგის სისტემების შექმნას და მათ ფუნქციონირებას; აგროვებს გარემოზე დაკვირვების მონაცემებს და უზრუნველყოფს ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, მათ შორის, გლობალურ ინფორმაციულ ქსელებში, მათ გავრცელებას; ამუშავებს გარემოზე დაკვირვების მონაცემებს, აფასებს გარემოს მდგომარეობას და ავრცელებს შესაბამის ინფორმაციას; არის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი - გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.
მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო	გასცემს მინერალური რესურსების მოპოვების/სარგებლობის ლიცენზიებს.
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	ამოწმებს და აკონტროლებს გარემოს დაცვის სფეროში კანონმდებლობის შესრულებას; ახორციელებს ინსპექტირებას, რეაგირებს დარღვევებზე და იყენებს შესაბამის სანქციებს.

<p>მუნიციპალიტეტის მერია</p>	<p>გაცემს სამშენებლო ნებართვებს უზრუნველყოფს სამშენებლო საქმიანობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და შესაბამისი სანქციების გამოყენებას, აკონტროლებს ხმაურის ნორმებს, გაცემს ხეების მოჭრისა და გადარგვის ნებართვებს.</p>
<p>საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური</p>	<p>წარმოადგენს ბუნებრივი კატასტროფების პრევენციასა და მათზე რეაგირებაზე პასუხისმგებელ ძირითად უწყებას.</p>
<p>შინაგან საქმეთა სამინისტრო</p>	<p>წარმოადგენს სამართალდამცავ უწყებას, რომელიც რეაგირებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში ჩადენილ სამართალდარღვევებსა და დანაშაულებზე.</p>



პუბლიკაცია შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა, არ ასახავდეს UNDP-სა და გერმანიის მთავრობის თვალსაზრისს.

